

მომხარებლისთვის მგბობრული ინტერფეისის დამუშავების ზოგიერთი საკითხი

გელა ღვინეფაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

პროგრამული პროცესების დამუშავებისა და შემდგომში მასთან მუშაობის პროცესების ხარისხის ამაღლების მიზნით სტატიაში განიხილება რამდენიმე პრობლემური საკითხი, რომელთა გადაჭრაც ექსტრემალური და ვიზუალური დაპროგრამების შემოთავაზებულ ხერხებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი. შედეგად მომხმარებელს უადვილდება პროგრამის გამოყენება მეცნიერული ინტერფეისის არსებობის გამო.

საკვანძო სიტყვები: კომპიუტერული სისტემები. ექსტრემალური დაპროგრამება. ვიზუალური დაპროგრამება. მეცნიერული ინტერფეისი.

1. შესავალი

ინფორმატიკის, კომპიუტერული მეცნიერებების მდლავრი ექსპანსია ადამიანის მოღვაწეობის, ფაქტობრივად, ნებისმიერ სფეროში არა მხოლოდ უფრო სწრაფს და სრულყოფილს ხდის თითოეული მათგანისათვის კვლევების ჩასატარებლად უკვე არსებულ მთოდებსა და ინსტრუმენტარიუმს, არამედ ქმნის ამ მიმართულებით პრინციულად ახალი მიღობების შემუშავების შესაძლებლობას. ნათქვამის საილუსტრაციოდ შესაძლებელია დაგასახელოთ დაპროგრამების დარგისათვის შემუშავებული მოელი რიგი ახალი პარადიგმებისა. მათ შორის, ფუნდამენტური ხასიათის მიხედვით, უნდა გამოიყოს ის მიღობები, რომელთაც ინფორმატიკის დარგში თვისებრივი ნახტომების განხორციელება უზრუნველყოფების: პარალელური დაპროგრამება, ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამება, ვიზუალური დაპროგრამება, UML და BPMN ტექნილოგიები და სხვ. [1].

წარმატებებმა ბიზნეს-პროცესების კომპიუტერიზაციაში, თავის მხრივ, პროცესირება გაუკეთეს კომპიუტერული სისტემებისადმი კიდევ უფრო მეტი მოთხოვნების წაყინებას. ასეთი ბუმის შედეგად, ვიწრო აღგილად უკვე იქცა კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა. დაუკიციტმა განაპირობა შემდგენი ტენდენცია - გარე ინგინიზაციების მიერ უკეთესი პირობების შეთავაზების გზით სისტემატიკური განვითარება. ეს პრობლემა ფართომასშტაბურია. მის გადაწყვეტას სხვადასხვა კომპანიები სხვადასხვაგარად ცდილობენ. მაგალითად, Facebook-ის სამსახურში აყვანისას სპეციალისტს ართმევენ ხელწერილს, რომ კომპანიიდან წასვლის შემთხვევაში მას უფლება არ ექნება კონკურენტთან მუშაობის დასაწყებად.

განვიხილოთ უკეთესი გარიანტი - სხვა სამუშაოზე წამსვლელ სპეციალისტს აღვილზე დაწყებული საქმე ბოლომდე მიჰყავს (რაც, სამწუხაოდ, ყოველთვის არ ხდება). ასეთ შემთხვევაშიც კი, ერთი შეხედვით, ბოლომდე მიყვანილი საქმე სანახევროდ მაიც წყალში გადაყრილად შეიძლება მივიჩნოთ. საქმე ის არის, რომ შექმნილ პროცესებს ყოველთვის სპეციალისტის გულისფრი - შემდგომი თანხლება, დაშეგბული შეცდომების აღმოჩენა-შესწორება, მომდევნო ვერსიების შემუშავება ახალი გარემოებების და მოთხოვნების გასათვალისწინებლად, რასაც საქმეში ახლად ჩართული სპეციალისტი, რომელიც წინამორბედის ნაღვაწს თვისებს, მნელად თუ ახრხებს. როგორც წესი, მას ურჩევნა, არსებული კომპიუტერული სისტემის საფუძველზე ახალი ვერსიის შემუშავების ნაცვლად, სრულიად ახალი სისტემა შექმნას.

ეკონომიკაში წარმატებების მისაღწევად კონკურენცია, ცხადია, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, მაგრამ იგი, „გელური“ სახით განხორციელებული, მთლიანობაში ნამდვილად არ უწყობს ხელს მთელი ქვეყნის მასშტაბით სასურველი შედეგების მიღწევას.

აღნიშნული საკითხი პირველ რიგში, ცხადია, მწვავედ დადგა სწორედ განვითარებული ქვეყნების კორპორაციათა ხელმძღვანელების წინაშე, რომლებმაც პირველებმა მოპირდეს ხელი კომპიუტერული სისტემების მასიბრივად შექმნას და ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებში მათ დაწერებას. ბუნებრივია, რომ სწორედ ამ ადამიანებმა გადადგეს პირველი ნაბიჯები სიტუაციის გასაუმჯობესებლად.

შედეგად, ინფორმატიკის სფეროსათვის ჩამოყალიბდა ახალი ფუნდამენტური მიმართულება - „ექსტრემალური დაპროგრამება“, რომელიც აყენებს და წყვეტს არა მარტო კონკრეტული კომპიუტერული პროგრამებისა და სისტემების შექმნის ამოცანებს, არამედ ამ პროცესის წარმმართველი კოლექტივის სწორად ორგანიზების საკითხებსაც [2].

ექსტრემალური დაპროგრამების პარადიგმის უმთავრესი დანიშნულება გახლავთ - შეიქმნას ატმოსფერო, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალისტების შრომის უფექტურად გამოყენებას. ამასთან, კორპორაციას დააზღვევს რევენუსა და არამდგრადობისაგან მაშინაც კი, როდესაც ადგილი აქვს გაუთვალისწინებელ მოვლენებს - კონიუნქტურის ცვლილებებს, სპეციალისტთა დენადობას და სხვ. [1]

შესაძლებლად მიგვაჩნია, ექსტრემალური დაპროგრამების პარადიგმა ორგანიზაციული მართვის სფეროს სპეციფიკურ განხრად წარმოვიდგინოთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ექსტრემალური დაპროგრამების

მიმდევრები უარს ამბობენ მანამდე არსებული დაპროგრამების პარადიგმებზე – პირიქით, აღნიშნული პარადიგმა ორიენტირებულია, ფაქტობრივად, ყველა აქამდე არსებული მიღვომის ერთობლივად გამოყენებაზე, ოლონდ საჭირო ადგილას და საჭირო დოზით.

ნათქვამა, რომ „არაფერია კარგ თეორიაზე უკეთესი“ (უფრო ზოგადად - კარგ იღებულება მეტად ღირებული). მართლაც, ნამდვილად ფასეული იღეა, თეორია „თავის თავს აჭარბებს“ – იგი არცოუ იშვათად ხასიათდება იდეის წამოყენების მომენტისათვის თვით მისი ავტორის თვალისთვისაც კი შეუმჩნეველი ღირსებებით, საკუთარ თავში მოიცავს მომავალში ახალი წახნაგებით წარმოჩნდასა და რეალიზების შესაძლებლობებს.

ვთვლით, რომ სწორედ ამგვარ - უფრო მაღალ დონეზე განხორციელების პოტენციალს მოიცავს თავის თავში ვიზუალური დაპროგრამების პარადიგმაც. კერძოდ, შესაძლებლად მოგვაჩნია დაპროგრამების პროცესში მისი შესაძლებლობების კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენება, რაც მნიშვნელოვან ეფექტს მოტანს ორგანიზაციებსა და საწარმოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემების დანერგვისას, რომელთა სრულყოფასაც განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ბოლო ხანებში [3,4]. მიგვჩნდა, რომ აქ არსებობს შესაძლებლობა ვიზუალიზაციისთვის დამატებითი არეალის მოძიებისა და ამ გზით თვისებრივად ახალი შედეგების მისაღწევად.

2. ძირითადი ნაწილი

ბოლო ხანებში დიდი ყურადღება ექცევა მრავალფუნქციური კომპიუტერული სისტემების დამუშავებას. ისინი თავის თავშე იღებს ორგანიზაციათა სტრუქტურული ქვეგანყოფილებების საქმიანობის ავტომატიზების საკითხების გადაწყვეტას. როგორც წესი, ეს სისტემები იგება სისტემური მიდგომის საფუძველზე – ცალკეული ქვესისტემებისთვის გადაწყვეტილი ამოცანების შედეგებით შესაძლებელია ისარგებლონ სხვა ქვესისტემებმაც. ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება არა მარტო ისეთი, უკვე ტრადიციული საშუალებები, როგორებიცაა მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, არამედ დიდი ყურადღება ექცევა კონკრეტული პროფესიის მომხმარებელების – აქტორებისათვის – ეკრანზე შესაბამისი ერგონომიკული გარემოს შექმნის საკითხების გადაწყვეტასაც. სწორად დამუშავებული კომპიუტერული სისტემები ერგებიან შესაბამისი ფუნქციის მქონე, მოცემული როლის შემსრულებელი აქტორის მოთხოვნებს: ფრიად სასურველია კონკრეტული აქტორის ყურადღება არ გადაიტვიროს ეკრანზე მისთვის არასაჭირო ინფორმაციის მიწოდების შედეგად, არ გაიფართოს იგი დისპლეიზე მოცემული მომენტისათვის ზედმეტი მართვის ელემენტების წარმოჩნდით. ამასთან, ასეთი გადაწყვეტა კომპიუტერის მეხსიერებას იცავს მასში შემთხვევით თუ სპეციალურად მცდარი ინფორმაციის შეტანისაგან. მაგრამ აქ ის მომენტიც არის აღსანიშნავი, რომ სხვადასხვა როლის შემსრულებელ აქტორების არცოუ იშვიათად უხდებათ სწორედ ამ როლების გაცვლაც.

ამრიგად, ერთი მხრივ, ჩანს, რომ მიზანშეწონილი არის მომხმარებლის როლის შესაბამისად ექრანზე ინფორმაციის ასახვა. მაგრამ რადგანაც ორგანიზაციებში იშვიათი არ არის, რომ მუშავს დრო და დრო უწევს სხვა სპეციალისტის მინიმუმ დროებით შეცვლა (ამ უფლებების მისთვის მინიჭება/წარმომების საკითხს სისტემის ადმინისტრატორი წყვეტს) და თუ მომხმარებელს მიჩვეულიდან მნიშვნელოვნად განსხვავებული სისტემაცია დახვდება ეკრანზე, ცხადია, რომ ეს მის მუშაობის ტემპს შეანელებს (ანალოგის წესით, შესაძლებელია აღნიშნოთ ის სირთულეები, რომლებიც მომხმარებელს ექმნება კლავიატურაზე სიმბოლოების ახალი განლაგების ასათვისებლად).

ჩვენი აზრით, უმჯობესია, ეკრანზე ინფორმაციის შეტანა-გამოტანის ველებისათვის, აქტორის ამა თუ იმ როლის შესატყვისად, სრულად ახალი განლაგება კი არ შეირჩეს, არამედ მათ შეინარჩუნონ პოზიცია, მაგრამ, დაკისრებული როლის შესაბამისად, დაერთოთ ან აერძოალოთ ინფორმაციის შეტანა. ამასთან, მოხდეს ეკრანზე მინიჭებული სტატუსის შესახებ აქტორის ინფორმირებაც. აღვინიშნავთ, რომ, დაპროგრამების ავტომატიზებისათვის განკუთვნილი ფაქტობრივად ყველა თანამედროვე სისტემა ამ შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მომხმარებლის კვალიფიკაციაც. დასაწყისში, კომპიუტერულ სისტემასთან მუშაობის ათვისების პროცესში, როგორც წესი, მომხმარებლების უმეტესობა სისტემის მხრიდან საჭიროებს კარნასს, როგორ მოიქცეს ამა თუ იმ სიტუაციაში. მისი ინფორმირებისათვის ტრადიციული მიღვომა გახსნავთ ე.წ. help შეტყობინების გამოძახება, რიგ შემთხვევებში კი უპირატესობას ანიჭებენ ეპრანის შესაბამის უბნებზე დამხმარე სახის ინფორმაციის განთავსებას მოკლე კომენტარების სახით, ხოლო ამ უბანზე კურსორის მცირე ხნით დაყოვნებისას - უფრო დაწვრილებითი სახის ინფორმაციის გამოტანას.

ჩვენი აზრით, უმჯობესია, მომხმარებელს საშუალება მიეცეს, თვითონ აირჩიოს საცნობარო ინფორმაციის ეპრანზე გამოყვანა-დამალვის გადაწყვეტილება (ერთადერთ მართვის ელემენტზე აღმის დაყენება-მოხსნით), ხოლო, როდესაც იგი სისტემასთან მუშაობაში გაიწავება, შესაძლებლობა მიეცეს, საერთოდ უარი თქვას დამხმარე ინფორმაციის გამოტანაზე, რათა ეკრანი ნაკლებად იყოს გადატვირთული.

განსახილველად შემოთავაზებული მომდევნო საკითხი და მისი გადაწყვეტის ჩვენი ხედვა ეხება კომპიუტერული სისტემების შექმნისას ვიზუალური დაპროგრამების პარადიგმის რამდენადმე განსხვავებული კუთხით გამოყენების შესაძლებლობას.

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ ადამიანის ტვინი გაცილებით უფრო სწრაფად აღიქვამს და გადამუშავებს გრაფიკული სახით მიწოდებულ ინფორმაციას, ვიდრე – ტექსტურს.

შემოთავაზებული მიღებობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორი მიმართულებით:

1. კომპიუტერული სისტემის შექმნის წინა ეტაპზე – მაგალითად, ორგანიზაციის საწარმოს სტრუქტურისა და მის ცალკეულ ქვეგანყოფილებებს შორის დოკუმენტთბრუნვის არსებული ნაკადების დადგინას;

2. დაპროექტებულ-რეალიზებული სისტემის შესაბამისად რელაგანიზებულ საწარმოსა თუ დაწესებულებაში დოკუმენტთბრუნვისთვის თვალის გასაღევნებლად, რათა უკეთ (ვიზუალურად) იქნეს დანახული შედეგები, შემჩნეული - ვიწრო ადგილები. 1-ელ ნახაზზე მოცემულია საილუსტრაციო მაგალითი.

დეპარტამენტი № 1

დეპარტამენტი № N

VI კორპუსი
II სართული

სართულის გეგმის თაობის
ჩვენებით

№ 1 დეპარტამენტის უფროსი:
პრიუ. გორგა გოგოვისაძე
ტელ.: 123-456

ასეთი გეგმის მიზანისას მისამართი
დაწესებულება აუ

ისყოფება კაბინეტი

საცავულოდ გათავისუფლდება 1 სა-სა
დაცილებები იქნება 15.სთ და 45 წთ-სთის
დაუტოვეთ შეტყობინება:

აკრიბეთ ტექსტი:

აკრიბეთ ჩაბარებული დოკ-ის ქოდი

VI კორპუსი
II სართული

სართულის გეგმის თაობის
ჩვენებით

№ 1 დეპარტამენტის მდგრადი:
არსები ადამიანი
ტელ.: 999-999

ასეთი გეგმის მიზანისას მისამართი
დაწესებულება აუ

ისყოფება თაობის

ადგილზე იქნება 15.სთ და 45 წთ-
სთის

დაუტოვეთ შეტყობინება:

აკრიბეთ ტექსტი:

საფოსტო კუთხი ჩამოვარეთ
ხელშისაწერი დოკუმენტი
ქვემოთ შეიტანეთ პაროლი!



დაიძინეთ სოფტური ჩაბარებული
დოკ-ის ქოდი:

12345

ნახ.1

3. დასკვნა

პროგრამული პროდუქტის შექმნისა და შემდგომში მასთან მუშაობის პროცესების სრულყოფის საკითხები მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთი ნოვაციების შემოტანასთან, რომლებიც თვისებრივად გააუმჯობესებენ მიღებულ შედეგებს. დაპროგრამების პროცესის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილია დაცვულნოთ ექსტრემალური დაპროგრამების რეკომენდაციებს. შემოთავაზებულია იმ მომენტის გათვალისწინება, რომელიც როგორც პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელ, ისე მის გამოყენებულ ორგანიზაციებში დამპროექტებლებსა თუ აქტორებს შორის როლების ცვლისას უპრიანია ისეთი სიტუაციის ორგანიზება, რაც მათ გაუადვილებთ ასეთ ქმედებებს. ეს შესაძლებელია მოხდეს როგორც კოლექტივის ორგანიზების ახალი ხერხებით (ექსტრემალური დაპროგრამების რეკომენდაციებზე დაყრდნობით), ასევე, ვიზუალური დაპროგრამების ხერხების გამოყენებით, მომხმარებლისათვის მაქსიმალურად მეგობრული ინტერფეისის უზრუნველყოფით. შემოთავაზებული მიღვიმა მომხმარებელს გაუადვილებს ახალ კომპიუტერულ სისტემასთან მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩევევების გამომუშავებას, სისტემის შესაძლებლობების ეტაპობრივად შესწავლის გზით. მეგობრული ინტერფეისის შექმნის მიმართულებით კიდევ ერთი საკითხის დაყენება-გადაწყვეტის ხედვა ეხება კომპიუტერული სისტემების შექმნისას ვიზუალური დაპროგრამების პარადიგმის რამდენადმე განსხვავებული კუთხით გამოყენების შესაძლებლობას, რაც ასევე ემსახურება ამ სისტემებთან მუშაობის სისტრაჟისა და ხარისხის ამაღლებას.

ლიტერატურა:

1. ..
.. - , 1999
2. .
. : . 2008
3. http://www.bbssoftware.ru/vl_docflow.php
4. http://ru.wikipedia.org/wiki/Bb_workspace

SOME PROBLEMS IN THE DEVELOPMENT OF USER FRIENDLY INTERFACE

Gvinepadze Gela
Georgian Technical University

Summary

The represented paper deals with some questions of working out of qualitative software product, using recommendations and methods of extreme and visual programming. In order to solve these problems there is offered the concept, which facilitates experts to develop a software product with the user-friendly interface.

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ

Резюме

Д